წალკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სხდომის

ოქმი # 11

ქ. წალკა; 30.09. 2024 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა – ირაკლი გიგინეიშვილი;
საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 21 დეპუტატი: გოჩა ხაჩატურიან, რადიკ სარკისიან, ანტარამ მელტონიან, ნუგზარ ჩამურლიევი, ლევონ მარკოსიან, ჯემალ ბერიძე, ჯაბა აბულაძე, მანანა გულედანი, სარკის ოგანესიან, იდა ბალაბანოვა, ალექსეი მუხსიევი, მარინე ირემაძე, ჯემალ ნაკაიძე, უშანგი ბოლქვაძე, ჯონი საბაძე, მალხაზ მგელაძე, მერაბ იაკობაძე, ნოდარ ბერიძე, მამია ირემაძე, ჯონი ღორჯომელაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:
წალკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ანზორ ხინიკაძე;**
წალკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ფეოხარი პარასკევოვ;**
წალკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ამირან საყვარელიძე;**
სხდომა დაიწყო: 11:00 სთ;
სხდომა დასრულდა: 11:35 სთ;

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ოქტომბრის #18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2024 წლის სექტემბრის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღა - ურების შესახებ";

დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ წალკის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ანზორ ხინიკაძემ საკრებულოს განუცხადა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის მერიას არა აქვს შემუშავებული დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ოქტომბრის #19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. იმის გამო, რომ იყოს ერთნაირი ელექტრონული საქმისწარმოების წესი შუამდგომლობს, დადგენილების პროექტი ამოღებული იქნეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტიდან.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე შუამდგომლობს ფრაქციის სახელით დღის წესრიგის პროექტიდან ამოღებული იქნეს დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ოქტომბრის #18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და აღნიშნული საკითხის განხილვა მოხდეს სხვა დროისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს;
საკრებულომ ღია კენჭისყრით (21 მომხრე, 0 წინააღმდეგი) ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. განკარგულების პროექტი წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2024 წლის სექტემბრის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ".

/მომხსენებელი: ჯემალ ბერიძე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი;

სხდომამ განიხილა:

1. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2024 წლის სექტემბრის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ"

/მომხსენებელმა: ჯემალ ბერიძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრმა საკრებულოს გააცნო განკარგულების პროექტი;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ;

განკარგულება მიღებულ იქნა ხმათა უმრავლესობით (20 მომხრე, 0 წინააღმდეგი) (განკარგულება #გ-119.11924274001 თან ერთვის);

სხდომის თავმჯდომარე ი.გიგინეიშვილი